აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება- საარქივო სამმართველოს საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი N3

2015 წლის 10 ნოემბერი ქ. ბათუმი

სხდომას ხელმძღვანელობდა: საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე მაია ივანიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრები: თენგიზ სალუქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი ქუთათელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა საკონკურსო კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი ინგა ხალვაში.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი ნინო წულიკიძე.

დღის წესრიგი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს მაია ივანიშვილის ინფორმაცია რომლის თანახმადაც 2015 წლის 21 ოქტომბერს ,,საჯარო სამსახურის შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოცხადდა კონკურსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მათგან, ვინც განცხადება წარადგინა ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 03 ნოემბრის №2 ოქმის თანახმად, წარმატებით გაიარა განცხადების გადარჩევის ეტაპი და დაბარებული იქნა გასაუბრებაზე, შემდეგი პირები:

ამირან გაგუა

კომისიის 3 ნოემბრის N2 ოქმით გადაწყდა და მეორე კონკურსანტს **ნინო კვაჭაძეს**, რომელიც სხვა კონკურსანტებთან შედარებით, ნაწილობრივ აკმაყოფილებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 05 ოქტომბრის N16 დადგენილებით დამტკიცებული კონკრეტული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (კონკურსანტი განცხადებაში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში 3 წლიან სამუშაო გამოცდილებას აღნიშნავდა, მაგრამ წარმოდგენილი ცნობა სამსახურიდან გაცემული იყო ძველი თარიღით (6.04.2015 წელი), რომლის თანახმად მისი სამუშაო სტაჟი შეადგენდა ორ წელსა და 8 თვეს) განესაზღვრა ვადა 2015 წლის 04 ნოემბრის 18 საათამდე საარქივო სამმართველოს ელ.ფოსტაზე info@archives-ajara.gov.ge გამოეგზავნა სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა, რომლითაც დადასტურდება მისი სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება. განსაზღვრულ ვადაში ზემოაღნიშნული ცნობის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ნინო კვაჭაძე არ დაიშვებოდა მეორე ეტაპზე და გასაუბრებაზე დაშვებული იქნება მხოლოდ ამირან გაგუა.

განსაზღვრულ ვადაში ნინო კვაჭაძის მიერ შესაბამისი ცნობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად კონკურსის მეორე ეტაპზე დაბარებული იქნა მხოლოდ ამირან გაგუა.

კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე გამოცხადდა ამირან გაგუა, საკონკურსო-საატესტაციო კომისია კონკურსანტს გაესაუბრა შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) საჯარო კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსანტი ამირან გაგუა შეფასდა **8.5** ქულით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება და ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის N412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს საკონკურსო - საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებათა (ოქმი N1, N2) შესაბამისად საარქივო სამმართველოს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგების მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად წარდგენილი იქნეს ამირან გაგუა.

სხდომის თავმჯდომარე	მაია ივანიშვილი
კომისიის წევრები	თენგიზ სალუქვაძე
	ავთანდილ ჩახვაძე
	ირაკლი ქუთათელაძე